ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4048731

ნომერი: AR1609622

თარიღი : 18.06.2018

გაცემის თარიღი : 03.07.2018

გაცნობის თარიღი : 03.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით გურამიშვილის , N86;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კუტალაძე პ/ნ 01019021150
- გურამიშვილის გამზირი ელ. მავალ მშენებელი ქარხნის მოპირდაპირედ

ორგანიზაცია:

- შპს "A.M.D" კოდი: 404894664

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 18 ივნისს Aღ1609622 განცხადებით მომართა მოქალაქე მერაბ კუტალაძემ და მოითხოვა 2016 წლის 05

სექტემბრის №2797504 ბრძანებაში ცვლილება და მშენებლობის სახეობის გრაფაში რეკონსტრუქციასთან ერთად ახალი მშენებლობის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებით, N01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 1904 მ2) კაფე, ბარის აშენების მიზნით, (მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა) ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონების: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ის ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ)-ის და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)-ის პირობებით. საპორეტქო ობიექტის განთავსება ხდებოდა ზოგადი საცხოვრებელი ზონის არეალში, რომელშიც ნაკვეთის განვითარება შესაძებელია საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3)–ის პარამეტრებით, ვინაიდან საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–შიობიექტის ფუნქცია კაფე, ბარი საჭიროებდა სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულიების საკითხთა საბჭოს სხდომაზე,რომლის რეკომენდაციების შესაბამისად საკითხი გადაწყდა დადებითად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 31 აგვისტოს N1-1623 ბრძანების საფუძველზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქ. თბილისში,ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირზე, ელმავალმშენებელი ქარხნის წინ არსებული ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:#01.12.01.004.045) კაფე-ბარის განთავსების მიზნით. შემდგომ 2017 წლის 14 აპრილის Aღ1495870 განცხადებით როგორც განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვეოდა ტერიტორიაზე აღარ იგეგმებოდა ახალი მშენებლობა და სურდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია, შესაბამისადითხოვდა ხსენებულ აქტში ცვლილების განხორციელებას და მშენებლობის სახეობად რეკონსტრუქციის დაფიქსირებას, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია და 2017 წლის 1 მაისის №3212633ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოთაღნშნულ აქტში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდა რეკონსტრუქცია.

როგორც განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა ტერიტორიაზე იგეგმება რეკონსტრუქციაც და ახალი მშენებლობაც და მოქალაქეს სურს შეიტანოს ცვლილება ზემოთხსენებულ აქტში და მშენებლობის სახეობად დააფიქსიროს რეკონსტრუქცია და ახალი მშენებლობა, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. „საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებაში და

მშენებლობისსახეობად დაფიქსირდეს: რეკონსტრუქცია და ახალი მშენებლობა;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 და 2017 წლის 1 მაისის №3212633 ბრძანებათან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.